

საქართველოს კანონი

სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. ეს კანონი სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის, სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების შემდგომი წარმოების მიზნით გადაგზავნისა და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურებს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

2. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის საკითხები რეგულირდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებისა (რომის სტატუტის) და „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც წესი, ხორციელდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ცალკეულ შემთხვევებში, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური შეთანხმების ან ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც საქართველოს არა აქვს დადებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება.

3. ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება განხორციელდეს ამ კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ საკითხებზე გარდა ექსტრადიციისა.

4. ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ნაცვალგების პირობები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ ამ კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ გარანტიებს, თუმცა არ გამოირიცხება უფრო მაღალი სტანდარტების დაწესება.

5. ინდივიდუალური შეთანხმება დადებული უნდა იქნეს მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის კონკრეტული შემთხვევისთვის და უნდა ითვალისწინებდეს ამ კანონით დადგენილ მინიმალურ გარანტიებს, თუმცა არ გამოირიცხება უფრო მაღალი სტანდარტების დაწესება.

მუხლი 3. კომუნიკაციის არხები და საშუალებები

1. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ინდივიდუალური შეთანხმებით დადგენილი არხებისა და საშუალებების მეშვეობით.

2. თუ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება ან ინდივიდუალური შეთანხმება არ ადგენს კომუნიკაციის არხებსა და საშუალებებს, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა ხორციელდება პირდაპირი არხების საშუალებით, თუ შესაბამისი უცხო სახელმწიფოს ეროვნული სამართალი სხვაგვარ მოთხოვნას არ აწესებს.

3. ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელების შემთხვევაში საქართველო იყენებს დიპლომატიურ არხებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი უცხო სახელმწიფოს ეროვნული სამართალი სხვაგვარ მოთხოვნას არ აწესებს, სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო

თანამშრომლობის განხორციელების პროცესში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ინტერპოლის არხები ან კომუნიკაციის სხვა საშუალებები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული კომუნიკაციის არხებითა და საშუალებებით მიღებული მასალები, შემდგომში უნდა დადასტურდეს ჩვეულებრივი საფოსტო გზაზე.

მუხლი 4. ხარჯები

1. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველო კისრულობს ყველა იმ ხარჯის გაღებას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებასთან.

2. შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს ხარჯების სხვაგვარი გადანაწილება.

თავი II

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა

მუხლი 5. საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის ზოგადი წესი და მისი შესრულების პროცედურა

1. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების ჩატარების საჭიროება და ამასთან არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, გამომძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია შესაბამისი შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

2. საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულება ხდება უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველო იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს მიმართოს თხოვნით საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულების დროს საქართველოს კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

4. შესაბამისი სამართლებრივი საფუძველების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს მიმართოს თხოვნით, რათა შუამდგომლობის შესრულების პროცესს დაესწრონ საქართველოს წარმომადგენლები.

მუხლი 6. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის ფორმა

1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობა როგორც წესი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) იმ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს დასახელებას, რომელსაც ეგზავნება შუამდგომლობა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერას და მის სამართლებრივ კვალიფიკაციას;

გ) იმ მუხლის შინაარსს, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ამონაწერს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებიდან;

დ) მოთხოვნილი დახმარების შინაარსს;

ე) დახმარების მოთხოვნის მიზანსა და საჭიროებას;

ვ) იმ პირის შეძლებისდაგვარად ზუსტ საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რომლის მიმართაც მოითხოვება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა;

ზ) სხვა აუცილებელ მონაცემებს;

2. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად მოითხოვს განსაკუთრებულ სასამართლო გადაწყვეტილებას (განჩინებას), მოსამართლის ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით დამოწმებული ეს გადაწყვეტილება უნდა დაერთოს შუამდგომლობას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განჩინების გამოტანისას არ გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი მე-3 და 138-ე მუხლის მე-4 ნაწილებით დადგენილი ვადები.

მუხლი 7. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირის გამოძახება საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით

1. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, გამოძიებელი, პროკურორი ან მოსამართლე (სასამართლო) უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით მოითხოვოს უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი პირის გამოძახება მათ წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, როგორც მოწმე, ექსპერტი, დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი.

2. ამ კანონის პირველ პუნქტში აღნიშნული პირების გამოძახება ხდება შესაბამისი უწყების საფუძველზე და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის ფორმით, რომელიც ეგზავნება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

3. საქართველოს ტერიტორიაზე ამ მუხლით დადგენილი წესით გამოძახებულ პირებს აუნაზღაურდებათ ყველა ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია მათ მგზავრობასთან და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნასთან, ასევე, ძირითადი სამუშაოდან მოცდენასთან. გამოძახებულ ექსპერტს ასევე აუნაზღაურდება ყველა ის ხარჯი და გასამრჯელო, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ საქსპერტო საქმიანობის შესრულებასთან.

4. ამ მუხლის პუნქტით გათვალისწინებული პირის გამოძახების შესახებ უწყებაში ან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს იმ ხარჯების ოდენობა, რომელიც გამოცხადების შემთხვევაში უნდა აუნაზღაურდეთ გამოძახებულ პირებს.

5. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინასწარი თხოვნის საფუძველზე შესაბამისი უცხო სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია გამოსაძახებულ პირებზე ავანსის სახით გაცემულ იქნას გარკვეული ოდენობის ფულადი თანხა, რომელიც შემდგომში ანაზღაურდება საქართველოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6. მოწმე ან ექსპერტი, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით გამოძახებულ იქნა პროცესის მწარმოებელი ორგანოს წინაშე გამოუცხადებლობის შემთხვევაში არ შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ რაიმე სახის იძულებითი ღონისძიებას.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ პირი ნებაყოფლობით დაბრუნდება საქართველოს ტერიტორიაზე და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ხელახლა იქნება გამოძახებული.

8. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირებს გამოცხადების შემთხვევაში არ შეიძლება დაეკისროთ ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისგება, დაექვემდებარონ დაკავებას, დაპატიმრებას ან სასჯელს, ასევე სხვა რაიმე სახით შეეზღუდოს თავისუფლება იმ ქმედებებისათვის, რომლებიც ჩადენილ იქნა მათ მიერ შესაბამისი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის დატოვებამდე. აღნიშნული პირების მიმართ არ შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნას რაიმე სახის შეზღუდვა მათ მიერ მიცემული ჩვენების ან გაკეთებული დასკვნის გამო იმ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რისთვისაც ისინი გამოძახებულ იყვნენ.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ პირმა, რომელსაც ჰქონდა რა შესაძლებლობა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, არ დატოვა იგი 15 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ამოიწურა მისი საქართველოში ყოფნის აუცილებლობა ან ხელახლა დაბრუნდა საქართველოს ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 8. უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოდან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხოვა და უცხო სახელმწიფოსათვის მიწოდება

1. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია გამოითხოვოს უცხო სახელმწიფოდან ინფორმაცია მისი შიდა კანონმდებლობისა და აღნიშნული კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

2. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში და შუამდგომლობის საფუძელზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის შესახებ.

მუხლი 9. უცხო სახელმწიფოდან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის ან მასალების გამოთხოვა

1. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია გამოითხოვოს უცხო სახელმწიფოდან ინფორმაცია ან მასალები აღნიშნული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში და სათანადო შუამდგომლობის საფუძელზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს მიაწოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 10. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების წესი

1. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებულ მტკიცებულებას თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მტკიცებულებასთან მიმართებაში.

2. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შედეგად მოპოვებული ნებისმიერი სახის ქონება, ან ორიგინალი დოკუმენტი საჭიროების გასვლის შემდგომ დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნდეს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახელმწიფო უარს განაცხადებს მათ დაბრუნებაზე.

3. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული ინფორმაციის ან/და სხვა მასალების გამოყენება დაუშვებელია სხვა მიზნებისთვის, გარდა იმ მიზნებისა, რაც მითითებული იყო შესაბამისი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობაში.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მიზნებისათვის შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს წინასწარი თანხმობის საფუძველზე, რის შესახებაც იგზავნება დამატებითი შუამდგომლობა.

მუხლი 11. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის შესრულება საქართველოს ტერიტორიაზე

1. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის შესრულებას.

2. უცხო სახელმწიფოდან შემოსული სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობა სრულდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისას შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს შუამდგომლობის ინიციატორი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობაც, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

4. საპროცესო მოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია პირის იძულებასთან და მისი კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სანქციონირებულია უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში უცხო სახელმწიფოდან შემოსული შუამდგომლობის შესრულების პროცესს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში შესაძლოა დაესწრონ აღნიშნული სახელმწიფოს წარმომადგენლები.

6. თუ უცხო სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი აღმოჩნდა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესასრულებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოდან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

7. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შედეგად მოპოვებული მასალები უცხო სახელმწიფოს ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით.

მუხლი 12. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.

1. სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა არ განხორციელდება, თუ:

ა) შუამდგომლობის შესრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, უშიშროებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესს;

ბ) შუამდგომლობის შესრულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;

გ) დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა საქართველოს მიერ განიხილება პოლიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან. დანაშაული არ ჩაითვლება პოლიტიკურად, თუ დანაშაულის მიზნების, მოტივის, ფორმის, მეთოდების და სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებით სისხლის სამართლის ქმედების ნიშნები გადაწონის დანაშაულის ჩადენაში პოლიტიკურ ასპექტებს.

დ) შუამდგომლობის შესრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს;

ე) დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს, რომელიც შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ არის დასჯადი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალებების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ვ) შუამდგომლობის შესრულების შედეგად შესაძლოა დაირღვეს ერთი და იგივე დანაშაულისათვის პირის ორმაგად დასჯის აკრძალვის პრინციპი 2. თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობით მოითხოვება ჩხრეკა ან ამოღება და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იგი შესრულდება მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

ა) თუ დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა დასჯადია როგორც შუამდგომლობის ინიციატორი, ისე საქართველოს კანონმდებლობით;

ბ) თუ დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც მოითხოვება სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა წარმოადგენს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) თუ შუამდგომლობის შესრულება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას;

3. იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო სახელმწიფოს მიერ მოითხოვება საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი პირის გამოცხადება მის ტერიტორიაზე საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედებების ჩატარების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უარი განაცხადოს შუამდგომლობის შესრულებაზე, თუ:

ა) პატიმრობაში მყოფი პირი არ არის თანახმა;

ბ) თუ პატიმრობაში მყოფი პირის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა აუცილებელია მის მიმართ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი პროცედურების განხორციელებისათვის;

გ) თუ პირის გადაცემამ შეიძლება გააჭიანუროს მისი პატიმრობაში ყოფნის პერიოდი;

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შესაძლოა დროებით უარი განუცხადოს უცხო სახელმწიფოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, თუ მოთხოვნილი მტკიცებულებების ან სხვა დოკუმენტების მიწოდებამ შესაძლოა შეაფერხოს საქართველოში მიმდინარე სისხლის სამართალწარმოება.

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, საერთაშორისო

ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალებების პირობებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. თუ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულება შეუძლებელია, მიღებული დოკუმენტები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით უნდა დაუბრუნდეს უცხო სახელმწიფოს, ამასთანავე უნდა მიეთითოს მისი შესრულების ხელშემშლელი მიზეზები.

მუხლი 13. საპროცესო სტატუსი

პირები, რომელთა მიმართაც უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მოითხოვება საპროცესო მოქმედებების ჩატარება სარგებლობენ იმავე საპროცესო სტატუსით, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში, თუ ამით არ ილახება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირის ძირითადი უფლებები.

თავი III ექსტრადიცია

მუხლი 14. პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიცია

1. ამ კანონით დადგენილი წესით საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს შესაბამის დაწესებულებას მიმართოს იმ პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, ან როდესაც იგი მსჯავრდებულია ამგვარი დანაშაულის ჩადენისათვის.

2. პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის მომზადების პროცესში მხედველობაში მიიღება აგრეთვე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა, პირის საქართველოში ექსტრადიციის, მისი შემდგომი მსჯავრდებისა და დასჯის საჯარო ინტერესი, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავენ პირის საქართველოში ექსტრადიციის მიზანშეწონილობას.

3. უარი პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციის მოთხოვნაზე დასაბუთებული უნდა იყოს.

მუხლი 15. პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ფორმა და თანდართული დოკუმენტები

1. ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით და იგი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სახელს, გვარს, დაბადების თარიღსა და ადგილს, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში მისი პიროვნების დამადასტურებელ სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას, იმ კანონზე მითითებით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამგვარი დანაშაულისათვის.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს;

ა) სასამართლოს განჩინება პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების შესახებ;

ბ) პირის ბრალდების შესახებ დადგენილების ასლი, ხოლო თუ პირი მსჯავრდებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ასლი.

გ) კანონის ტექსტი, რომლითაც გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულისათვის, ასევე ექსტრადიციის საკითხის განხილვისათვის საჭირო სხვა საკანონმდებლო აქტები;

დ) შესაძლებლობის შემთხვევაში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ფოტოსურათი, თითის ანაბეჭდები, დნმ-ის კოდი ან სხვა საიდენტიფიკაციო ;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობას ასევე შეიძლება დაერთოს სხვა დოკუმენტებიც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არსებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

მუხლი 16. უცხო სახელმწიფოში მიმდინარე საქსტრადიციო პროცედურების ეფექტი საქართველოში მიმდინარე სისხლისსამართლებრივ პროცედურებზე

1. საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრების შემთხვევაში მისი პატიმრობის ვადა აითვლება საქართველოს შესაბამისი ორგანოსათვის მისი ფაქტობრივი გადმოცემის მომენტიდან. საქართველოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის ვადა ჩაითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის საერთო ვადაში.

2. დაუშვებელია საქართველოში ექსტრადირებული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ან მსჯავრდება მის გადმოცემამდე ჩადენილი რაიმე სხვა სახის დანაშაულის ჩადენის გამო, გარდა იმ დანაშაულისა, რომლის ჩადენისთვისაც იგი ექსტრადირებულ იქნა საქართველოში.

3. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა პირის საქართველოში ექსტრადიცია ამაზე თანახმაა.

ბ) როდესაც ექსტრადირებულმა პირმა, რომელსაც ჰქონდა რა შესაძლებლობა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, არ დატოვა იგი მისი საბოლოო გათავისუფლებიდან 45 დღის განმავლობაში, ან ხელახლა დაბრუნდა საქართველოს ტერიტორიაზე მისი დატოვების შემდეგ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, უცხო სახელმწიფოსაგან თანხმობის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს მე-15 მუხლში აღნიშნულ მონაცემებსა და დოკუმენტებს.

5. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიციის შემდეგ მიმდინარე სამართალწარმოების დროს შეიცვალა პირის მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია), მაგრამ უცვლელი დარჩა ჩადენილი დანაშაულის აღწერილობა და მისი ძირითადი შემადგენელი ელემენტები და ახალი დანაშაული ექვემდებარება ექსტრადიციას.

მუხლი 17. პირის მესამე სახელმწიფოში ექსტრადიცია

არ შეიძლება უცხო სახელმწიფოდან ექსტრადირებული პირი გადაეცეს მესამე სახელმწიფოს ამ ან სხვა დანაშაულისათვის, გადმოცემი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.

მუხლი 18. ექსტრადიციას დაქვემდებარებული დანაშაულები

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირი უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას ექვემდებარება ისეთი დანაშაულების ჩადენისათვის, რომლებიც დასჯადია როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით სულ მცირე ერთი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მკაცრი სასჯელით. მსჯავრდებულის შემთხვევაში ასევე აუცილებელია, რომ მას მისჯილი ჰქონდეს სულ მცირე ოთხი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

2. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა მოიცავს რამდენიმე დანაშაულს, რომლებიც დასჯადია როგორც საქართველოს, ისე შესაბამისი უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობით და ამ დანაშაულთაგან ზოგიერთი ვერ აკმაყოფილებს სასჯელის ზომის მიმართ ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ დასჯადია თავისუფლების აღკვეთით ან

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი გამოიყენება აგრეთვე პირის უცხო სახელმწიფოდან საქართველოში ექსტრადიციის შემთხვევაში.

მუხლი 19. პოლიტიკური დანაშაულები

1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა, საქართველოს მიერ განიხილება პილიტიკურ დანაშაულად ან დანაშაულად, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან.

2. პოლიტიკური დანაშაულის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესი.

3. პოლიტიკურ დანაშაულად არ განიხილება სახელმწიფო მეთაურის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის ხელყოფა ან ასეთი ხელყოფის მცდელობა, აგრეთვე ყველა ის დანაშაული, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც საქართველოს აღებული აქვს ექსტრადიციის ვალდებულება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

მუხლი 20. სამხედრო დანაშაულები

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებითა ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული, რომლისთვისაც მოითხოვება პირის გადაცემა წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს.

2. სამხედრო დანაშაულის განსაზღვრისას გამოიყენება ამ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესი.

მუხლი 21. მოქალაქეთა გადაცემა

დაუშვებელია საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 22. სიკვდილით დასჯა

ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც მოითხოვება პირის გადაცემა ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული.

მუხლი 23. დაუსწრებლად გამოტანილი განაჩენი

1. პირი არ ექვემდებარება უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში მის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და ამასთან იგი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის შესახებ ან დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისათვის არ იყო უზრუნველყოფილი დაცვის მინიმალური უფლებები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირის ექსტრადიცია შეიძლება განხორციელდეს, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები წარმოადგენენ სასამართლოს მიერ საქმის ხელახალი განხილვის გარანტიას, სადაც ექსტრადირებული პირი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის უფლებით.

მუხლი 24. ხანდაზმულობის ვადა

ექსტრადიცია არ განხორციელდება იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელის მოხდისაგან

მუხლი 25. თავშესაფარი, ამნისტია, შეწყალება

1. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში ან მინიჭებული აქვს ლტოლვილის სტატუსი საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ექსტრადიცია მესამე უსაფრთხო სახელმწიფოსაგან მოითხოვება.

2. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ დანაშაული რომლის ჩადენისათვისაც მოითხოვება პირის გადაცემა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ამნისტირებულია ან პირის მიმართ ამ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით გამოცემულია შეწყალების აქტი.

მუხლი 26. პრინციპი non bis in dem

პირის ექსტრადიცია არ განხორციელდება თუ:

ა) იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, უკვე არსებობს საქართველოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

ბ) იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადიცია, საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ უკვე მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.

მუხლი 27. სამართალწარმოება ერთსა და იმავე დანაშაულთან დაკავშირებით

ექსტრადიცია შეიძლება არ განხორციელდეს, თუ საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიმდინარეობს სამართალწარმოება იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომლის ჩადენისათვისაც მოითხოვება პირის გადაცემა.

მუხლი 28. დანაშაულის ჩადენის ადგილი

საქართველოს უფლება აქვს უარი თქვას პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციაზე, თუ დანაშაული, რომლის ჩადენისათვისაც მოითხოვება გადაცემა მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 29. ექსტრადიციის გამომრიცხავი სხვა გარემოებები

1. ექსტრადიცია არ შეიძლება განხორციელდეს, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ პირის ექსტრადიცია მოითხოვება იმ მიზნით, რათა შემდგომში იგი პასუხისგებაში იქნას მიცემული ან დაისაჯოს მისი რასის, ეროვნების, ეთნიკული კუთვნილების, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების ან სხვა მსგავს გარემოებათა გამო.

2. ექსტრადიცია არ შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანების, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან პირის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ქმედების ბუნების და მომთხოვნი სახელმწიფოს ინტერესების მხედველობაში მიღებით ითვლება, რომ ექსტრადიცია აშკარად შეუსაბამოა ადამიანური მოპყრობის ძირითად სტანდარტებთან.

3. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს, რომელიც დაკავშირებულია იქნება ამ პირის წამებასთან, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობასთან.

4. ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ პირი ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში შეიძლება გასამართლებულ იქნეს ან მიესაჯოს სასჯელი სპეციალური სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ.

5. ექსტრადიცია აგრეთვე არ განხორციელდება საქართველოსა და შესაბამის უცხო სახელმწიფოს შორის არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შემთხვევებში.

მუხლი 30. უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება

1. საქართველს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამართალდამაცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამისი რაიონის პროკურორს, რომელიც 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით შესაბამის მაგისტრატ მოსამართლეს პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თხოვნით.

2. უცხო სახელმწიფოს სამართალდამაცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას საექსტრადიციო პატიმრობა ან საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეები.

3. მაგისტრატი მოსამართლე უცხო სახელმწიფოს სამართალდამაცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების საკითხს განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხლით დადგენილი წესითა და საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით. მაგისტრატი მოსამართლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს პირისათვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 7 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 5 დღის ვადაში.

4. საქართველს ტერიტორიაზე დაკავებული უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საექსტრადიციო პატიმრობის ვადა განისაზღვრება 3 თვით,

რომელიც ექსტრადიციის განხორციელებისათვის გამოწვეული საჭიროების გამო შეიძლება გაგრძელდეს 3 თვით, მაგრამ არაუმეტეს ორჯერ.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე საქსტრადიციო პატიმრობის ვადას აგრძელებს შესაბამისი მაგისტრატის მოსამართლე, რომლის გადაწყვეტილებაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესით შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

6. ექსტრადიციის მიზნით დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუ დადგინდა, რომ იგი საქართველოს მოქალაქეა.

მუხლი 31. დამატებითი ინფორმაცია

თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორი სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი აღმოჩნდება ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოდან გამოითხოვოს აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია და დააწესოს ვადა მის მიღებაზე.

მუხლი 32. კოლიზიური თხოვნები

1. თუ პირის ექსტრადიციას რამოდენიმე უცხო სახელმწიფო მოითხოვს, მაშინ გადაწყვეტილებას, თუ რომელ სახელმწიფოს უნდა გადაეცეს იგი, საქართველოს იუსტიციის მინისტრი იღებს დანაშაულის ჩადენის ადგილის, დანაშაულის სიმძიმის, ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობით საქართველოსადმი მომართვის თარიღების, პირის მოქალაქეობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის მინისტრი უფლებამოსილია ექსტრადიციის საკითხის გადაწყვეტის მიზნით კონსულტაციები საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან.

3. პირის გადაცემის შესახებ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და უცხო სახელმწიფოს კოლიზიური თხოვნების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნას.

მუხლი 33. გადადებული და დროებითი გადაცემა

1. თუ პირი, რომლის მიმართაც შემოსულია შუამდგომლობა ექსტრადიციის შესახებ სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძველით პირის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებამდე. თუ პირს, რომლის მიმართაც შემოსულია შუამდგომლობა ექსტრადიციის შესახებ წაყენებული აქვს ბრალდება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს განაჩენის გამოტანამდე, სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძველით მის გათავისუფლებამდე.

2. პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს, თუ გადაცემაში შეიძლება ზიანი მიაყენოს მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

3. შესაბამისი თხოვნის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უცხო სახელმწიფოსათვის დროებითი გადაცემა. დროებითი გადაცემის შესახებ შუამდგომლობა განიხილება ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის განხილვისათვის დადგენილი წესების შესაბამისად და გადაცემა შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოხდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის საქართველოში დაბრუნება.

4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია მიმართოს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს პირის დროებითი გადმოცემის შუამდგომლობით.

მუხლი 34 ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება და მისი გასაჩივრების წესი

1. პირის უცხო სახელმწიფოში ექსტრადიციის ან დროებითი გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს, მისი გადაცემის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ან უფლებამოსილი პირის მიერ გამოტანილი დადგენილების მიღებიდან არა უგვიანეს დღისა გაასაჩივროს იგი შესაბამის რაიონულ

(საქალაქო) სასამართლოში, რომელიც საჩივრის განხილვის შესახებ პირველად სხდომას ნიშნავს მისი მიღებიდან არაუგვიანეს დღის ვადაში.

3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის შეტანის გზით მხარეებმა შეიძლება გაასაჩივრონ დადგენილების მიღებიდან დღის ვადაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს დღის ვადაში.

4. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი სარგებლობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ბრალდებულისათვის მინიჭებული ყველა უფლებით საექსტრადიციო პროცედურების თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 35 ნიუთიერ მტკიცებულებათა და დოკუმენტთა გადაცემა

1. იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირისათვის ჩამორთმეული საგნები და/ან დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებებად სისხლის სამართლის საქმეზე, ეგზავნება ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს.

2. მატერიალური ღირებულების მქონე საგნებისა და დოკუმენტების გაგზავნა, თუ ისინი არ ეკუთვნის ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს, უნდა მოხდეს მათი შენახვისა და მესაკუთრისათვის დაბრუნების გარანტიის მიღების შემდეგ. გარანტიას იძლევა ორგანო, რომელიც მოითხოვს პირის ექსტრადიციას.

მუხლი 36. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა ტრანზიტით გადაყვანა

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტის განხორციელების შესახებ თხოვნა უნდა შეიცავდეს იგივე რეკვიზიტებს, რასაც ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობა. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ექსტრადიციას უარის თქმის საფუძვლები.

2. საპაერო ტრანზიტის შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიაზე დაჯდომა გათვალისწინებულია, მომთხოვნმა მხარემ უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური თხოვნით.

3. საპაერო ტრანზიტის შემთხვევაში, როდესაც დაჯდომა საქართველოს ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული, მომთხოვნი მხარე აცნობებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პირის ტრანზიტული გადაყვანის შესახებ.

თავი IV

სისხლის სამართლის საქმის მასალების გადაგზავნა

მუხლი 37. სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის პირობები

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უფლებამოსილია უცხო სახელმწიფოს გადაუგზავნოს საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალები ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლები პირის მიმართ შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების მიზნით, თუ:

ა) საქართველოს კომპეტენტურ ორგანოებს არ გააჩნიათ იურისდიქცია შესაბამისი დანაშაულის გამოძიებასთან ან პირის მიმართ სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით;

ბ) თუ პირი არ ექვემდებარება საქართველოში ექსტრადიციას მისი შესაბამისი უცხო სახელმწიფოსადმი მოქალაქეობრივი კუთვნილების გამო;

გ) თუ სისხლის სამართლის საქმის მასალების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნა ხელს შეუწყობს დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირის უკეთეს სოციალურ რეაბილიტაციას;

მუხლი 38. სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის წესი

1. სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის ინიციატორია პროცესის მწარმოებელი ორგანო, რომელიც

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართავს შესაბამისი თხოვნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების დროს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით.

3. სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაზავნის შესახებ შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) იმ უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს დასახელებას, რომელსაც ეგზავნება შუამდგომლობა;

ბ) სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ამონაწერს, რომლის საფუძველზეც ქმდება ითვლება დანაშაულად; ასევე, საქმეზე მნიშვნელოვან მქონე სხვა საკანონმდებლო აქტებიდან ამონაწერს;

დ) ბრალდებულის არსებობის შემთხვევაში, მის შეძლებისდაგვარად ზუსტ საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ე) საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს;

4. ამ კანონის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ეგზავნება სისხლის სამართლის საქმის მასალები, ხოლო ამ კანონის 37-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სისხლის სამართლის საქმის მასალების სათანადოდ დამოწმებული ასლები, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცავალგების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საჭიროების შემთხვევაში იგზავნება ასევე ნივთიერი მტკიცებულებები.

მუხლი 39. სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაზავნის ევექტი საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებაზე

1. ამ კანონის 37-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის მასალების სათანადოდ დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაზავნის შემთხვევაში, ავტომატურად არ წყდება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითად სისხლის სამართლის საქმეზე და იგი უნდა შეწყდეს გადაზავნილ მასალებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმირების შემდეგ.

2. ამ კანონის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმის მასალების უცხო სახელმწიფოში გადაზავნის შემთხვევაში საქართველოს კომპეტენტური ორგანოები წყვეტენ სამართალწარმოებას გადაზავნილ მასალებთან დაკავშირებით.

3. ამ კანონის 37-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით სისხლის სამართლის საქმის მასალების სათანადოდ დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაზავნის შემთხვევაში, საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ არ წყდება სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება და იგი უნდა გაგრძელდეს, თუ უცხო სახელმწიფოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა შემდეგი პირობებისა და შეზღუდვების გამო:

ა) შუამდგომლობის მიმღები უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად გამოსაძიებელი დანაშაულისათვის გასულია ხანდაზმულობის ვადა;

ბ) შუამდგომლობის მიმღები უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად გამოსაძიებელი დანაშაული არ ექცევა მისი სახელმწიფოს იურისდიქციაში;

გ) შუამდგომლობის მიმღები უცხო სახელმწიფო გამოსაძიებელ დანაშაულს მიიჩნევს პოლიტიკურად, პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან სამხედრო დანაშაულად;

დ) თუ გამოსაძიებელი დანაშაული შუამდგომლობის მიმღები უცხო სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად არ არის დასჯადი;

ე) შუამდგომლობის მიმღები უცხო სახელმწიფო საკუთარი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მიზეზით, საქართველოს შუამდგომლობის საფუძველზე არ დაიწყებს სისხლის სამართალწარმოებას.

მუხლი 40. სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების გაგრძელება ბრალდებულის საქართველოს ტერიტორიაზე დადგენის ან დაკავების შემთხვევაში

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული, რომლის მიმართაც არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების დამოწმებული ასლები გადაგზავნილ იქნა უცხო სახელმწიფოში, შემდგომში დაკავებულ ან დადგენილ იქნება საქართველოს ტერიტორიაზე, მის მიმართ სამართალწარმოება გაგრძელდება საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ და აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით.

მუხლი 41. დაუსწრებელი სასამართლო განხილვის აკრძალვა

გადაგზავნილ სისხლის სამართლის საქმის მასალებთან დაკავშირებით უცხო სახელმწიფოდან პასუხის მიღებამდე, დაუშვებელია საქართველოს კომპეტენტური ორგანოების წარმოებაში არსებული ძირითადი სისხლის სამართლის საქმე წარმართოს სასამართლოში დაუსწრებელი განხილვისათვის, ხოლო თუ განხილვა დაწყებულია იგი უნდა შეჩერდეს.

მუხლი 42. უცხო სახელმწიფოს მიერ გადმოგზავნილი სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ან მათ სათანადოდ დამოწმებულ ასლებთან დაკავშირებით საქართველოში მიმდინარე პროცედურები

1. საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ანდა ნაცვალგების პირობებით დადგენილი წესით უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გადმოგზავნილ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ან მათ დამოწმებულ ასლებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უგზავნის საქართველოს კომპეტენტურ ორგანოს მასზე სამართალწარმოების შემდგომი გაგრძელების მიზნით.

2. გადმოგზავნილ სისხლის სამართლის საქმეზე უცხო სახელმწიფოს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებაში.

3. გადმოგზავნილ სისხლის სამართლის საქმის მასალებთან დაკავშირებით სამართალწარმოება გრძელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით.

თავი V

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოხდის მიზნით გადაცემა (გადმოცემა)

მუხლი: 43. ზოგადი დებულებები თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა სასჯელის მოხდის მიზნით გადაცემასთან (გადმოცემასთან) დაკავშირებით

1. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ იქნა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე უფლება აქვს მოითხოვოს სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით საქართველოში გადმოყვანა.

2. შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საქართველოში თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს მისი სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით იმ სახელმწიფოსათვის გადაცემა, რომლის მოქალაქესაც იგი წარმოადგენს.

3. საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოში მსჯავრდებულ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა ინფორმირებას ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლების შესახებ.

4. საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გადაცემის ან უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა გადმოცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

5. მსჯავრდებულთა გადაცემისა და გადმოცემის საკითხებზე უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობას, აგრეთვე მსჯავრდებულთა გადაცემისა და გადმოცემის შესახებ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის სათანადო პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

6. მსჯავრდებულის გადაცემა (გადმოცემა) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს საბოლოო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

7. მსჯავრდებულის გადაცემის (გადმოცემის) საკითხის განხილვის დაწყების საფუძველს წარმოადგენს:

ა) იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული/იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობა, რომლის სასამართლოს განაჩენის საფუძველზეც მოხდა პირის მსჯავრდება;

ბ) მსჯავრდებულის, მისი ინტერესების დამცველის, ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის განცხადება.

8. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის (გადმოცემის) საკითხის განხილვის პროცესში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოიპოვებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის დამოწმებულ ასლს;

ბ) დოკუმენტი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;

გ) განაჩენის გამომტანი სასამართლოს ზემდგომი სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) დოკუმენტს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდელი ნაწილის შესახებ;

ე) დოკუმენტს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოუხდელი ნაწილის თაობაზე;

ვ) სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ტექსტს, რომლის საფუძველზეც პირი იქნა მსჯავრდებული;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობას გადაცემაზე (გადმოცემაზე), ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ შეუძლია გამოხატოს თავისი ნება – მისი ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას;

თ) ცნობას მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

ი) მიძღები ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს;

კ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრებას მსჯავრდებულის გადაცემის (გადმოცემის) მიზანშეწონილობის თაობაზე.

9. გადაცემა (გადმოცემა) არ განხორციელდება თუ:

ა) იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული და რომელიც ითხოვს მსჯავრდებულის გადაცემას (გადმოცემას), ქმედება, რომლისთვისაც პირი მსჯავრდებულია, არ წარმოადგენს დანაშაულს, ან არ იწვევს სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით;

ბ) არ არსებობს მსჯავრდებულის თანხმობა (თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული), ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც მას არ შეუძლია თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება ასაკის, ფიზიკური მდგომარეობის ან გონებრივი შეზღუდვის გამო – მისი ახლო ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა;

გ) გადაცემის (გადმოცემის) შესახებ მოთხოვნის მიღების მომენტიდან მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის დარჩენილი ვადა შეადგენს 6 თვეზე ნაკლებს. გამონაკლის შემთხვევაში, საქართველო და შესაბამისი უცხო სახელმწიფო შეიძლება შეთანხმდნენ გადაცემაზე (გადმოცემაზე) იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსახდელი სასჯელის დარჩენილი ვადა შეადგენს 6 თვეზე ნაკლებს;

დ) ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება მხარეთა შორის გადაცემის (გადმოცემის) თაობაზე.

10. მსჯავრდებულის გადაცემაზე (გადმოცემაზე) განცხადება (შუამდგომლობა) შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, თუ:

ა) გადაცემა (გადმოცემა) საფრთხეს უქმნის საქართველოს საზოგადოებრივ წესრიგს, ეწინააღმდეგება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და უშიშროების ინტერესებს;

ბ) გადატვირთულია საქართველოს სასჯელადსრულების დაწესებულებები;

გ) მსჯავრდებულს არ მოუხდია სასჯელის ნახევარი, თუ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შორის არ არის მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება;

დ) დაინტერესებულ პირთა მიერ უარი ითქვა მსჯავრდებულის გადაცემისა (გადმოცემისათვის) საჭირო ხარჯების გაღებაზე.

მუხლი 44. საქართველოს სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა გადაცემა

1. შემოსული შუამდგომლობის/განცხადების მიღების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს შესაბამისი უწყებებიდან მოიპოვებს ამ კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და ცნობას მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მსჯავრდებულის განცხადების მიღების შემდეგ ადგენს შუამდგომლობას იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წინაშე, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გადაცემის საკითხის განხილვის პროცესში მოპოვებული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ადგენს დასკვნას მსჯავრდებულის გადაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე, რომელსაც წარუდგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს.

4. მსჯავრდებულის გადაცემის თაობაზე საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მსჯავრდებულის გადაცემა ხდება იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

5. მსჯავრდებულის გადაცემის თაობაზე საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცნობებს შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს/განმცხადებელს შუამდგომლობის/განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. მსჯავრდებულის გადაცემის თაობაზე ბრძანების გამოცემიდან 5 დღის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წერილობით აცნობებს იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, აგრეთვე მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მსჯავრდებულის პროცედურების განხორციელებისათვის.

7. თუ გადაცემული მსჯავრდებულის მიმართ საქართველოში გამოტანილი განაჩენი შეიცვალა ან გაუქმდა, ან ამ პირს შეეხო საქართველოში გამოცემული ამნისტიის ან შეწყალების აქტი, საქართველოს იუსტიციის ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც გადაეცა მსჯავრდებული.

8. თუ განაჩენი გაუქმდა და ხელახლა დაიწყო საქმის გამოძიება ან სასამართლო განხილვა, კომპეტენტური ორგანოს მიერ სათანადო შუამდგომლობის აღძვრის შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო შესაბამისი გადაწყვეტილების ასლს და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს უგზავნის იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც გადაეცა მსჯავრდებული.

მუხლი 45. უცხო სახელმწიფოში მსჯავრდებულ საქართველოს მოქალაქეთა (საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა) გადმოცემა

1. მსჯავრდებულის გადმოცემის საკითხის განხილვის დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის ან უცხო ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის წარდგენილი განცხადება ან შუამდგომლობა.

2. დაინტერესებული პირის განცხადებას/შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

ა) მსჯავრდებულის სრული საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი/ადგილი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები და სხვა ინფორმაცია);

ბ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მსჯავრდებულის საქართველოს მოქალაქეობას ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსს;

გ) განმცხადებლისათვის გადმოსაცემი მსჯავრდებულის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ახლო ნათესავია – შესაბამისი ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის ან დაინტერესებული პირის განცხადების მიღებისთანავე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უცხო სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებიდან გამოითხოვს ამ კანონის 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

4. თუ გადმოცემის პროცედურის დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადგენს პირველად შუამდგომლობას

უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს წინაშე პირის გადმოცემის საკითხის განხილვის დაწყების თაობაზე. პირველადი შუამდგომლობა მოიცავს გადმოცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტისათვის საჭირო დოკუმენტების თხოვნას და არ წარმოადგენს შუამდგომლობას გადმოცემის შესახებ.

5. თუ გადმოცემის პროცედურა უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობით ხორციელდება და შუამდგომლობა არ შეიცავს ყველა საჭირო დოკუმენტსა და მონაცემებს ან/და მოწოდებული მასალა არ არის საკმარისი გადმოცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან გამოითხოვს საჭირო მასალებს.

6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებული პირისაგან იღებს წერილობით დასტურს მსჯავრდებულის გადმოცემისათვის საჭირო ხარჯების გადების თაობაზე, რომელიც სხვა დოკუმენტებთან ერთად მსჯავრდებულის გადმოცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ეგზავნება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს.

7. მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ადგენს დასკვნას მსჯავრდებულის გადმოცემის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც მტკიცდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

8. უარყოფითი დასკვნის შედგენის შემთხვევაში, შესაბამისი საფუძვლების მითითებით, 1 კვირის ვადაში ეცნობება დაინტერესებულ პირს ან შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს.

9. თუ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დასკვნა დადებითია, მისი დამტკიცებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოში აღსასრულებელ განაჩენს მსჯავრდებულის გადმოცემასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებთან ერთად გადაუგზავნის შესაბამის სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით.

10. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 289-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოდან მიღებული განჩინების ასლი თარგმანთან ერთად ეგზავნება უცხო სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს. სასამართლოს განჩინების ასლს უნდა დაერთოს შუამდგომლობა გადმოცემის შესახებ.

11. იმ შემთხვევაში, თუ უცხო სახელმწიფო დაადასტურებს სურვილს მსჯავრდებულის გადმოცემის თაობაზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამზადებს იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტს მსჯავრდებულის გადმოცემის შესახებ.

12. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მსჯავრდებულის გადმოცემის პროცედურების განხორციელებისათვის მინისტრის ბრძანებას უგზავნის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს.

13. უცხო სახელმწიფოში ამინსტიის ან შეწყალების აქტით, შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებით ან გადმოცემული მსჯავრდებულის სხვა კანონიერი საფუძველით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან/და სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსაგან ინფორმაციის მიღებისთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო დაუყოვნებლივ მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების თხოვნით.

მუხლი 46. მსჯავრდებულ პირთა ტრანზიტით გადაყვანა

1. უცხო სახელმწიფოს მიერ მესამე სახელმწიფოსათვის გადასაცემი მსჯავრდებულის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს წვევს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

2. მსჯავრდებულის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაყვანის თაობაზე იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობით მიმართავს მსჯავრდებულის გადაყვანი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო.

3. საქართველოსათვის გადმოსაცემი მსჯავრდებულის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გადაყვანის თაობაზე ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს შუამდგომლობით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

თავი VI
დასკვნითი დებულებები

მუხლის 47. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი